

გაზეთის ფასი:

გაზეთი ტფილისში	ბაზუგავენდით:
დ. გარეშე ადგილებში:	— — — 6 მან.
თბილისი — 7 მან.	— — — 5 —
ქუთაისი — 6 —	— — — 3 — 50 კ.
სამხრის წილისა — 4 —	— — — 2 —
სამხრის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
საქართველოს ნაშრომის გაუგებრობათ — 3 შაური.	
დროშა* გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევით.	

# ქრონოსი

საქართველოს ჟურნალი

თბილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მედიკოსი ლი და კამ. სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზე, რედაქციის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.  
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлиси. Вь контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძოლის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

### რედაქციისათვის.

ხელის-მოწერა „დროშაზე“ ყოველ-თვის მიიღება. ამ გაზეთის დაბეჭდვა შეიძლება პირველიდანვე ნუმერიდან.

რედაქცია უმარჩილესად სთხოვს „დროშას“ ხელის-მოწერას, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინა-არსი: პორტრეტდენცია: — აფხაზ-თის ადგილი. პოლიტიკა: — ანგლია. — იტალია. — მსალო. — საბერძნეთი. — ამერიკა. ტელეგრაფები. ჩამდენიმე ცნობა ჩინეთის მეურნეობაზე. მორიგის ლაშქრობის განაჩენი მეორე მრევ-ლე მეფისაგან.

აფხაზეთში ადგილი. ამ ამბავს გადმოე-წერო გაზეთიდან „Кавказ“ № 68. ივლი-სის თვის უკანასკნელს რიცხვებში სოხუმის მანკოვლების მმართველმა, პოლკოვნიკმა პო-ნარმა მოახსენა მთიანეთის ღერძალ-გუბერნა-ტორს, რომ ერთი მხრის, სახელად ბზიბის მცხოვრებნი, ბოროტის კაცების შეგონებით, არ აძლევდნენ ცნობას პირს, რომელიც იყო დანიშნული ცნობის შესაყრებად მხრის ნა-ჩაღნიკის თან-შემწეობით. ამ გვარი ცნობა ძლიერ საჭიროა ბატონ-ყმობის საქმის გადა-სწყვეტად ამ მხარეში. პოლკოვნიკი ძანია-რი თავის მოხსენებაში აცხადებდა, რომ მას-რის ნაჩაღნიკისა და ჩემი შეგონება, მთავ-რობასაგან წინათ განზრახულის ცვლილების სიკეთისათვის, სრულებით უნაყოფო. დარჩა. მცხოვრებნი ცხადთა არ დაემორჩილნენ ჩემს ბრძანებას. რადგანაც იმას არ ჰყვანდა იმდენი ჯარი, რომ ძალით დემორჩილებინა და აესრულებინა მმართველობის ბრძანება, ძანი-არმა სთხოვა ღერძალ-გუბერნატორს ორი ბატალიონი, რადგანაც იმას იმედი ჰქონდა, რომ ჯარის იქ ყოფნა ხალხს ვალდებულს მორჩილებაში მოიყვანს. ამ მოხსენების და-ლით იმავ წამს მოახდინეს განკარგულება, მაგრამ, მინამ ეს განკარგულება ასრულებო-და, აფხაზეთიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა, რომ ხალხი კიდევ ადგა და პოლკოვნიკი ძანია-რი სოფელს სოუქსუს, რომელიც იყო უწინდელის მთავრის სატახტო ადგილი, მოკ-კლესო თავის მოვალეობის თავ-განწირულე-ბით ასრულებისთვის და იმასთან აგრეთვე დახოცეს ბზიბის მხრის დროებითი ნაჩა-ღნიკი, კაპიტანი იშმაილოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ჩერეპოვი, რომელიც იყო მთავ-რობისგან გაგზავნილი შემოხსენებულის ცნო-ბის შესაყრებად, რომდენიმე პირნი, რომე-ლნიც პოლკოვნიკს ძანია-რს თან ახლდნენ და აგრეთვე ყაზახები, რომელნიც მხრის სამმართველოს კამანდაში მსახურებდნენ.

მეორე დღეს გამდგარი ხალხი, რომლის რიცხვიც ხუთი ათას კაცადის იყო, სო-ხუმს დაეცა იმ აზრით, რომ ქალაქი გაეოზ-რებინა, მაგრამ გარნიზონის სიმამისა და მთავრობის პირების კარგის განკარგულების მადლობით, ხალხი უკან მიიქცა; მხოლოდ ჩვენის მხრით რამოდენიმე კაცი დაიჭრა. აფ-ხაზეთში დასწევს ერთი ნაწილი ქალაქისა,

რომელიც დასტოვებს მცხოვრებლებს და გარნიზონს.

ბზიბის მხრის მცხოვრებლებს გარდა სო-ხუმის მხრის რამოდენიმე სოფელშიც მიიღო მონაწილეობა; სხვა სოფლები სოხუმისა და აბჟიეის მხრისა კი მშვიდობიანათ იყვნენ. წებელდებულები გადიდნენ აფხაზეთის მხარეზედ და კიდევ მოიწადინეს წებელდის სიმამრ-ზედ დასემა. მაგრამ ვერა გააწყეს რა, რადგა-ნაც ციხის გარნიზონი ძალიან მხნედ დახ-ედათ და რადგანაც უპირველესი მთავარი ალ-მასხიტ მარშალი, რომელმაც აღმოაჩინა მთავ-რობის ერთგულება, ჩქარა მიეშველა თავისი ალელეებითა. ამის შემდეგ მორჩილების და-სამტკიცებლად განდგომილებმა მმართველო-ბას ძეგლები მიართვეს.

### პოლიტიკა.

ანგლია. პარიზის კორესპონდენტი ერ-თის ანგლიის გაზეთისა სწერს, რომ კერძო-ობითს წიგნებში, რომელთაც მოდის ბერმანი-დამ, არის გამოცხადებული, რომ ფიქრობდნო-ერთი ერთმანეთში შეკავშირებას სამნი სა-ხელმწიფოანი: პრუსსია, ავსტრია და იტალია. ძალიან შესაძლოა ამ გვარის კავშირის მოხ-დენა, რადგან ამ სამს სახელმწიფოებს შუა-ალაფერია იმისთანა, რომელიც ეწინააღ-დეგებოდეს იმათს მეგობრობას. უფრო შე-სანიშნავია ამ შემთხვევაში ის ამბავი, რომ იტალია და ავსტრია იფიწყებენ ძველს მტრო-ბას ერთმანეთში და უნდათ ერთი ერთმა-ნეთს უქომაგონ. თუ ამ გვარი კავშირი მო-ხდება შრანციას ძალიან გაუჭირდება მეროპა-ში მშვიდობიანობის შეჩერება. ძალიან გაბე-დვა უნდა, რომ ამ გვარს კოალიციას (\*) ვინმე თავს დაეცეს.

იტალია. რომიდან მიწერილ წიგნში, რო-მელიც არის გაზეთში Liberté, იპოვება ძალიან შესანიშნავი ამბები: „პაპამ მტკიცედ გადას-წყვიტა, რომ ის რომიდან არსად არ წავა; იმან გამოსცა მოწოდება ყველა კათოლიკის ეპისკოპოსების სახელზედ, რომელთაც ის სთხოვს იმათ შეწყვენას. მერავინ ვერ გაკი-ტავს პაპს იმასში, რომ ვითომც იმას დაე-მცირებინოს ეკლესიის და ტახტის ღირსება. პაპა ამბობს თავის ეპისტოლეში, რომ მე მინ-და მოგვედოა წმინდა პეტრეს ტახტზედ, რო-მელიც მე მომანიჭა სამღვთო განგებამ და არ განეშორებოდა იმას, მიტოვ-მშენებულის თვით-მნებლობის ხელშიც, რომ ჩა-ვარდეს, მაშინაც არ განუტევევ იმას. მა-შა სადამე სჩანს, რომ პაპა რომიდან არ გა-ვა. შრანციის მმართველობის და იმის შუა-ურთიერთობაში მოხდა რამოდენიმე ცვლი-ლება. უწინ პიო IX ნაღვლიანად უჩიოდა ნაპოლეონს თავის შინა-კაცებთან; ახლა კი ყოველთვის კეთილად მოიხსენებს ხოლმე იმას. ის იმდენათ არ კიტავს ნაპოლეონს, რამდენათაც სწუხს იმის მდგომარეობაზედ. პიო განსაკუთრებით კმაყოფილი შეიქნა სა-კუთარის ხელით მონაწირის იმის წიგნითა, რომელიც მიიღო პაპამ წარსულს კვირაში. 1 აგვისტოს პაპამ ამ წიგნზედ გამოუცხადა თავის მინისტრებს. იმპერატორი სათნო სიტ-

(\*) პოლიტიკა ნიშნავს რამოდენიმე სახელმწიფოს კავშირს ერთი განზრახვის დასაცემლათ.

ყვებით მიიქცევა პაპსთან; ის ევედრება პაპს, რომ ორთავ თანასწორად იმოქმედონ ამ შემ-თხვევაში, რომ დასდლიონ აურაცხელი და-ბრკოლებანი, რომელნიც ყოველგან წინ-უხ-ედებოდა იმას და პაპის უფლებას. ამ წიგნს დიდი ზედმოქმედება ჰქონდა პაპაზედ. ამ წი-გნში უძლიერესი ხელმწიფე მეროპისა მიიქ-ცევა და სთხოვს უძლიერეს მოხუცს შემწეო-ბას. პაპამ უთხრა თავის მინისტრებს: „იმპე-რატორმა თავი ევლარ გაართვა იმ გარემოე-ბას, რომელიც ახლა დამკვიდრდა; იმისი გან-ზრახვა მეტად კარგია; იმას ყოველთვის იმე-დი უნდა ჰქონდეს ჩვენს შემწეობაზედ. მი-ლოცოდ იმაზედ, რომ ჩვენი შემწეობა შე-იქნეს იმისთვის, რაც შეიძლება დიდი სასარ-გებლო. მილოცოდ აგრეთვე იმპერატორის-თვის, შრანციისთვის, და ეკლესიისთვის“. ამ სახით ტულერის კაბინეტის ურთიერთო-ბას IX პიოსთან მიეცა საიდუმლო ხასიათი, რომელიც აქამომდე არ ჰქონდა ამ ურთი-ერ-ობას.

მსმალ. ძანდიის კუნძულზედ. სა-ქრისტიანო მცხოვრებლების წარმო-მადგენლების პროტესტი. Opinion Natio-ნალ-ში არის დაბეჭდილი იმ პროტესტის ტექს-ტი, რომელიც ძანდიის (ძირით) კუნძულზედ წარუდგინეს საქრისტიანო სახელმწიფოების ელჩებს. ამ პროტესტში მცხოვრებლები ცდი-ლობენ თავი გაიმართლონ ადგომისათვის მს-მალის მმართველობის წინააღმდეგ: „საქრისტი-ანო მცხოვრებლების წარმომადგენელნი კუნ-ძულზედ, და წვერნი „ძირითელთა საზოგა-დო ძარბისა“ მოვალენი ვართ განაცხადოთ საქვეყნოდ, რომ ჩვენ მეტი ღონე არა გვქონდა, უნდა შევიარაღებულყოფით თავიანთ თავის დასაცველად შევიწროებისგან.

„როდესაც აღიძრა ჩხუბი ჰელლინის (საბერ-ძნეთის) ხალხის განსათავისუფლებლად, ჩვენ, როგორც ჰელლინელნი (ბერძნები) ენით და შთამამელობით, ვიბრძოდით ერთად ჩვენს მემამულეებთან. მაგრამ ჩვენ თავისუფლება არ გვიღრსებოდა. ჩვენ აქ შევიკრიბენით მხო-ლოდ იმ სიმართლის მოსაპოვებლად, რომელ-საც შეგვიბრძნენ მფარველნი სახელმწიფო-ნი და რომელიც დამტკიცებულია ტრაქტატე-ბით და პროტოკოლებით. ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ იმ სიმართლებას, რომლის მოცე-მასაც სულთან თავის ნებით შეგვიბრძა და რომელიც იყვნენ ჩამოთვლილნი გატტი-გიუმბიონში. ღერძალ-გუბერნატორმა ჩვენს მორჩილს თხოვნას სულ სხვა აზრი მის-ცა, რადგანაც უნდოდა, რომ თავის შეპირება აესრულებინა. იმან მთელი სამი თვე ტყუი-ლად დაგვაცდევინა და ბოლოს მიიღო ბრ-წყინაღვ პორტისგან უარის პასუხი, რომელ-შიც ის იწერებოდა ჩვენზედ მუქარას. ღერ-ძალ-გუბერნატორი წარმოსდგა ჩვენ წინ ჯა-რითა, და სიმართლის მაგივრად ამოღებულის ხმლით გაგვცა პასუხი. ამ ამბავს განუტყუ-ბებთ უუ-საქრისტიანო სახელმწიფოების ელ-ჩებს და ჩვენის თავის დასაცველად იარაღს მიეცათ ხელს.

ამ ჩვენის მოქმედების პასუხს გასცემს მმარ-თებლობა განათლებულს ქვეყანას.“  
ათინიდან აი რას იწერებინან: კანდიელებმა იციან თუ იმათ რამივლით. ისინი გრძნო-

ვენ, რომ, თუ ოსმალეთლებმა დასდლიეს, იმათი სამშობლო დაიღუპება; აგრეთვე ესეც იციან, რომ თუ კანდიელებმა გაიმარჯვეს, მაშინ ოსმალეთლები დახოცენ ქალაქებში და სოფლებში იმათს ცოლებს და შვილებს და მოახდენენ ყოველს გვარს უმზავსოებას, რომელიც ჩვეულებათ აქეთ ოსმალეთლებს. მაგრამ, რაც უნდა დავმართოთ, კანდიელები მაინც ყოველის ფერზედ მზათ არიან. მთ-ვიანთს პროკლამაციებში ისინი აცხადებენ, რომ ან უნდა მთლად დავიღუპოთ და ან უნდა გავყაროთ უცხო-ქვეყნელები. იმათ იმედი აქეთ, რომ მინამ ოსმალეთლები ფი-ცხლად მოექცევიან კანდიელებს, მეროპის სახელმწიფოებიც მოეხმარებიან განსათავის-უფლებლად.

მსმალეთების გაბედულებას საზღვარი არა აქვს. არამც თუ ევროპელი მცხოვრე-ბლები, თვით ელჩებიც არ არიან დასტურნი მსმალის სალდათების შეურაცხებისგან. მა-გალითად, ერთჯერ მოხდა, რომ მოლლან-დიის და ღანის ელჩები უნდა ჩამოხმდარიყე-ნენ ცხენებიდან და მიეცათ თავიანთი ცხენე-ბი თათრის სალდათებისთვის, რომლებსაც რალაც გამოგონებულს მუშაობისთვის დას-ტორდათ.

ჯერ ბლოკადა არ გამოეცხადებინათ, რომ ოსმალეთლებმა თავიანთ თავს ნება მისცეს გაეჩხრიკათ ძანდის და ბერაკლისის პორტებ-ში ხომალდები, რომლებზედაც იყვნენ გად-მოკიდებულნი ჰელლინის ფლაგები. საბერძ-ნეთის ელჩებმა იმავე წამს პროტესტი მისცეს ხალხების ურთიერთობითი სიმართლის დარ-ღვევისთვის.

ძანდიის კუნძულიდან იწერებინან, რომ ხალხში მღელვარება სრულებით არ აპირებს დაწყნარებას. სირიიდან ერთი კორესპონდენ-ტი აცხადებს, რომ კუნძულზედ მოხდარა ერ-თი შესანიშნავი შემთხვევა. მსმალის ჯარი და კანდიელები შეხედნენ ერთმანეთს ძასტი-ლიოზედ, მაგრამ არც ერთს მხარეს თოფი არ უსვრია. მსმალეთლები ურჩევდნენ კანდიე-ლებს ჩხუბის პირველად დაწყებას, კანდიე-ლები კი ოსმალეთლებს სთხოვდნენ, რომ ჩხუბი პირველად იმათ დაეწყათ. არც ერთს მხარეს არ უნდოდა, რომ პირველად თავს-და-ცემისთვის პასუხის-გებაში ჩაეარდნილიყო. ზოგიერთს გაზეთებში ამბობენ, რომ ხიოსის კუნძულზედ მოხდარა აღრეულობა, მაგრამ ჯერ კი ნამდვილათ იმაზედ არა იციან რა, რო-გორც სჩანს, პორტას უნდა გაგზავნოს კუნ-ძულზედ თავის კამმისარი საქმის-გამოსაძიებ-ლად.

ძ ა ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი, 13 (25) აგვისტოს. სულთანის მთავრობამ განდგომილს კრიტიკებს დაპირდა, რომ ის მიუტოვებს, თუ ახლავს დაყრიან თოფ-ია-რალს და დემორჩილებიან მსმალის მმარ-თელობას; მაგრამ კრიტიკებმა (კანდიე-ლებმა) უფრთხილად არ შეუშვეს რაიმე გვარი მოლაპარაკება და შეთანხმება. იმათ უნდათ ბოლომდის განაგრძონ თავიანთი წინააღმდე-გობა. იმათ გადასდეს თავი, რომ უკანას-კნელს ღონისძიებამდის იბრძოლონ თავის თავისუფლებისთვის და განამტკიცონ თავი-სის სისხლით ის საქმე, რომელიც დაწყეს



თავისი მემამულეების სიმართლისათვის. ამ გვარის დაუმორჩილებლობისათვის კუნძულის გუბერნატორი იშმაილ-ფაშა მიიქცა სულთანთან და მოითხოვა ახალი ბრძანება; მსმალის მთავრობამ გაუგზავნა ახალი ინსტრუქცია, რომლის ძალითაც იშმაილ-ფაშას ნება აქვს იარაღი იხმაროს ამდგარის ხალხის დასამშვიდებლად.

როგორც ამბობენ, კრიტიკები 20 ათას კაცადის არიან შეიარაღებულნი. იმათ მისდით საბერძნეთიდან იარაღი, სამხედრო სამკაული და ფული. მსმალის ჯარიც რიცხვით 20 ათასს კაცადის არის. ზარდა ამისა 6 ათასი კაცი კიდევ ეგვიპტელები არიან. ეს ჯარი მოახმარა სულთანს მეგობრის ვიცე-კაროლმა. აგრეთვე ძანდის მახლობლად დგანან მსმალის სამხედრო ზომადლები. მოწინააღმდეგეებისთვის ძალიან საძნელო იქნება, რომ ამისრანა ძალას გაუმადრდნენ, თუ რომ იმათ მერაპის სახელმწიფოების იმედი არა ჰქონდეთ.

— აგრეთვე ძორფუს კუნძულიდან გვაცნობენ, რომ საბერძნეთის კაროლმა ბიორგიმ მიიწვია ამ დღეებში მსმალის მახლობლად, მპირილამ, გამოგზავნილი დეპუტაცია. ამ დეპუტაციამ მხარეთა მის დიდებულებას თავის მხარის თხოვნა, რომელშიაც ისინი აცხადებენ თავიანთს შეერთებას საბერძნეთის საკაროლოსთან. მხოვანში სხვათა შორის აი რა სწერია: „თუ ეს შეერთება არ მოხდება საბერძნეთის კაროლის მამაცურის მოქმედებითა, მაშინ თვით მხარა აიღებს ხელში იარაღს და საზოგადოების მსმალის უფლიდან თავს გამოიხსნის. მესალა იმავე აზრით იმოქმედებს. მართის სიტყვით ბერძნები დაჯერებულნი არიან, რომ მსმალის იმპერიას მოსპობენ და აღადგენენ ძველს საბერძნეთის სახელმწიფოს.“

ახლა აღარაფერ არ ეცვობს, რომ ძანდიაში (პრიტიში) დაწყებული მოძრაობა გავრცელდება არხიპელაგზე და საბერძნეთის საკაროლოშიც.

— ამის თანახმად ძელნის გაზეთშიაც აი რას იწერებინან: „მეტი არ არის, რომ ახლა აღმოსავლეთისკენ არსებს დიდი შეთქმულება, რომლის განზრახვაც არის ოსმალელების გადაგდება. მით მსმალის მმართველობაც დარწმუნებულია ამაში: იმან უმთავრესნი პირნიც კი იცის, რომელნიც მოქმედებენ ამ შეთქმულებაში. შეთქმულობის შუა-ალაგათ არის ამოჩენილი როდოსის კუნძული და იქაურს აგიტატორებს (მოსაქმე პირებს) აქეთ კავშირი კამიტეტებთან, რომელნიც მოქმედებენ ათინაში, ბუხარესტში, ბელგრადში და მოსტანტინოპოლში. ძანდიაში ხალხის ადგომამ მსმალის მთავრობას მისცა შემთხვევა, რომ დაწერილებით აღეწერა დიდის სახელმწიფოების წინაშე რევოლუციურის მოძრაობის თან-და-თან გაძლიერება, აგრეთვე იმან უჩვენა შეთქმულობის უმთავრესი პირები და ამასთანავე გამოაცხადა, რომ ის მამაცად დაიკავს თავის სიმართლეს და არ მისცემს ნებას, რომ იმას ვინმე შეეხოს.“

**საბერძნეთი.** Ind. Belge ამბობს, რომ საბერძნეთში ხალხი თან და თან უფრო მღელვარებაში მოდის; ძირითის (ძანდის) კუნძულზე რომ მოძრაობა ასტყდა, ის მოძრაობა არ არის განკერძოებული; იმას აქვს ძირითითი ჰელნის (საბერძნეთის) საკაროლოში. საბერძნეთის გაზეთები აცხადებენ, რომ, როცა 1821 წელს ხალხმა აიღო იარაღი თავისუფლებისთვის, მაშინ ის მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ ყველა საქრისტიანო მცხოვრებლები განთავისუფლებულიყვნენ მსმალის მფლობელობისაგან. საბერძნეთის განთავისუფლება არის პირველი ნაბიჯი საბერძნეთის და სლავიანების წადილის აღსასრულებლად, რომელიც შეიცავს განახლებას და შეერთებას ქრისტიანის ხალხებისას, რომელნიც ცხოვრობენ აღმოსავლეთით. ზემოხსენებული

გაზეთი ამბობს, რომ ამ გვარი გულ-გახსნილი ლაპარაკი ამტკიცებს, რომ მალე უნდა მოხდეს დიდი შემთხვევა, რომელსაც მერაპა მშვიდობიანად ჰქვრტას ვერ დაუწყებს.

— უკანასკნელი ამბები; რომელნიც ძანდიდან მოვიდნენ, აცხადებენ, რომ უცხო ქვეყნის ელჩებმა კანდილებს უშუამდგომლესო ღენერალ-გუბერნატორთან, იშმაილ-ფაშასთან და მსმალის ჯარის უფროსთან, სელიმ-ფაშასთან. იმათის უშუამდგომლობით სამხედრო მოქმედება შესწყდა. უცხო-ქვეყნის სახელმწიფოების წარმომადგენლებს იმედი მიეცათ, რომ ამ უშუამდგომლობის გამო სისხლს არ დაადგრიენებენ მოპირდაპირეებს და იმ დრომდის დაიცვენ ამ გვარს მდგომარეობას, მინამ მერაპის სახელმწიფოების დესპანები ძონსტანტინოპოლში სულთანს არ მიაცემინებენ კანდილებისთვის რამოდენსამე შემსუბუქებას.

— ჩერნოგორიის დესპანებს აქეთ მოლაპარაკება მსმალის მმართველობასთან, იმაზედ რომ პორტამ მოიპოვოს სამფლობელო ძალმაციის ნაპირზედ. სერბიაში ხმამალა ლაპარაკობენ, რომ ქრისტიანები, რომელნიც მსმალის მფლობელობის ქვეშ იმყოფებიან, მხოლოდ ნიშნის მიცემას ელიან, თორემ იმავე წამს აღდებიანო მსმალის წინააღმდეგ.

**ამერიკა.** მეხიკაში გამოჩნდა შეთქმულება, რომელშიაც ოთხი მინისტრი ერია. ამის გამო საჭიროდ აღმოჩნდა კაბინეტის შეცვლა. ამასთანავე აცხადებენ, რომ ორი უმთავრესი სამინისტრო ფრანკუზებს მიანდეს: სამხედრო სამინისტრო — ღენერალ მსმანდუს და საფინანსო სამინისტრო — უ. ზრინანს. მრევ სამინისტრო მარშლის ბაზენის ხელ-ქვეით იმყოფებიან. აი რამდენხედ მიადწია მეხიკის იმპერია, რომელიც ეს სამი წელია რაც არსებობდა.

## ბ ე ლ ე ზ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**მემა, 18 (30) აგვისტოს.** შერიგების ტრაქტატის ურთიერთობითი რატიფიკაცია ავსტრიაში და პრუსიას შუა მოხდა პრაგაში. ეს შერიგების ტრაქტატი გამოცხადდება ბერლინში და მენაში ერთ-დროს, მახათს, 21 აგვისტოს 1-ლს სექტემბერს.

**მემა, 18 (30) აგვისტოს.** ათინიდან აქ, 13 (25) აგვისტოს, აი რა ამბავს იწერებინან: პორტამ შეაგროვა ჯარები საბერძნეთის მოსაზღვრე ციხეებში. ინსურგენტებთან (განდგომილებთან) მოსალაპარაკებლად ძონსტანტინოპოლიდან გაგზავნეს შტაბის უფროსი, მახმუდ-ფაშა; თუ საჭირო იქნება, იმან კიდევ უნდა დაიმორჩილოს ისინი იარაღით. ტუნძულის ძანდის გარნიზონის მისამატებლად დანიშნული ჯარი გამზადებულია გასამგზავრებალად.

**ლონდონი, 19 (31) აგვისტოს.** რეიტერის სააგენტოს ნუ-იორკიდან სწერენ, 10 (22) აგვისტოს, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ის აცხადებს, რომ, რადგანაც შტატი ტეხასი ისევ შეერიტებულს შტატებში, ამისთვის შეერთებულს შტატების ყოველს ნაწილში დამყარდა მშვიდობიანობა, მყოფროება და სამოქალაქო სჯულის უფლება.

პრეზიდენტმა ჯონსონმა, ღენერლის ბრანტის თანადსწერებით, მიიღო შილადეფის კონვენტის კამიტეტი და გამოაცხადა, რომ ამ კონვენტის გადაწყვეტილება უდრის განმეორებულს განცხადებას დამოუკიდებლობაზედ და მეტოცედ გადაწყვეტიერო, რომ იმავე პოლიტიკას დეადგე; რომელიც წინათ განმიზრახავსო.

**პარიში, 20 აგვისტოს (1 სექტემბერს).** შრანკუზულს გაზეთებში სწერენ, რომ იტალიის მეგვიდრე პრინცი ჰუმბერტი ამ ცოტასხანში დაინიშნება ერთს ერცლერცოგინაზედ,

რომელიც ეკუთვნის ავსტრიის საიმპერატორა სახლსა.

**პარიში, 21 აგვისტოს (2 სექტემბერს).** ღრუენ-დე-ლუისის მაგიერად უცხო ქვეყნის საქმის მინისტრად დანიშნა ნაპოლეონმა შრანციის ელჩი მუტიე, რომელიც იყო განწყობული ძონსტანტინოპოლს. მინამ ის მივიდოდეს პარიჟს, იმის თანამდებობას აღასრულებს შინა-საქმის მინისტრი, მარკიზი ლავალეტი.

**ლონდონი, 22 აგვისტოს (3 სექტემბერს).** ტაიმსში (Times) სწერენ, რომ საბერძნეთის კაროლი ბიორგი ითხოვსო ანგლიის კაროლის მისტორიის მეოთხე ქალს, პრინცესა ლუიზას.

უცხო ქვეყნის საქმის უწინდელი მინისტრი, ლორდო პლარენდონი მიდის საბერძნეთში, რომ ადგილობრივ განიხილოს და შეიტყოს, თუ რა მდგომარეობაშია საბერძნეთის საქმე.

**კონსტანტინოპოლი, 22 აგვისტოს (3 სექტემბერს).** მრმოცდა ხუთი გამოჩენილი კაცი შლენსბურლიდამ და იმის ახლომახლობლად წავიდა ბერლინში იმ აზრით, რომ პირდაპირ გამოუცხადონ პრუსიის კაროლს თავისი იმედი იმაზედ, რომ ჩრდილოეთის შლენზიგი მიეცეს ისევ დანას. ინჰარისევე განზრახვით წავიდა დეპუტაცია ანგელნიდამ.

**ბერლინი, 23 აგვისტოს (4 სექტემბერს).** უ. ბენედეტტი არ დასთანხმდა ნაპოლეონის თხოვნაზედ და არ მიიღო უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრის ალაგი და წავიდა პარიჟიდან პარლამენტში.

ტულისში მიღებული.

**პეტერბურგში, 30 აგვისტოს.** პრუსიისა და ჩრდილოეთ-ბერმანიის სახელმწიფოებს შუა კავშირის ტრაქტატი დამტკიცდა.

**პეტერბურგში, 31 აგვისტოს.** პრუსიის დეპუტატ-პალატაში ძლიერ გაკვირდნენ, როცა მღობის პირის საღერცოგოების შეერთებაზედ სჯულის პროექტი წარადგინა ბისმარკმა და ამ პროექტში სრულიად არ იყო მოხსენებული ჩრდილოეთის შლენზიგის უკან დაბრუნება დანისათვის. პროექტში მხოლოდ ეს არის მოხსენებული, რომ შლენზიგის ნაწილი დიდს ღერცოგს მღდენბურგისას მიეცება, იმის სამფლობელოს ნაწილის მაგიერ. — იტალიის მთავრობამ დაითხოვა თავის არმიიდან 58 ათასი კაცი და ყველა ვოლონტერები, რომელნიც ომის დროს შეგროვდნენ.

— პეტერბურგს, 30 აგვისტოს, დამით, მიცვალა მურავიევი, რომელიც იყო თავს-მჯდომარე გამომედიებელის კამისიისა იმ საქმეზედ, რომელიც შეიცავს 4 პარილის შემთხვევის საქმეს.

**პეტერბურგში, 1 სექტემბერს.** 200 ათასი მანეთი მოიგო სერია 9437, 25 ნუმერმა; 75 ათასი — სერია 11913, 25 ნუმერმა 40; ათასი — სერია 16688, 10 ნუმერმა; 20 ათასი — სერია 8821, 8 ნუმერმა.

**პეტერბურგში, 1 სექტემბერს.** „საყოველთაო ჩრდილოეთ-ბერმანიის გაზეთი“ სწერს, რომ უცრად აღძრული აღმოსავლეთის საქმე მისცემს დაბრკოლებას ჩრდილოეთის ბერმანიის კავშირის დაწესებას, დაწყობას და ბერმანიის საქმეზედ თვალს მორაგებინებს პრუსიას. ჩვენ ვიქნეულობთ, რომ ახლა მინც მშვიდობიანათ გათავდეს აღმოსავლეთის საქმე.

— შენაესმა სისხლის სამართალმა გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება სახელმწიფო დამნაშავეს, ღმიტრი პარაკოზოვს და ალექსანდრე ძაბილინს, რომელსაც სწამებდნენ სახელმწიფო დანაშაულობას. პარაკოზოვს უნდა ჩამოერთვას ყოველგვარი სიმართლე და უნდა ჩამოიხრჩოს; რადგანაც ძაბილინს ვერ დაუმტკიცეს დანაშაულობა, ამისთვის ის სასჯელისგან გაანთავისუფლეს.

**რამდენიმე ცნობა ჩინეთის მუხრნობაზე.**

ზად.

18 თებერვალს, პეტერბურგში, თავისუ-

ფალს ეკონომიურს საზოგადოებაში, უ. სკაჩკოვმა დაიწყო ლექციების კითხვა ჩინეთის მამულის მეურნეობაზე. პირველს ლექციაში იყო საზოგადო განხილვა: რა მდგომარეობაში არის ამ ქანათ ჩინეთის მამულის მეურნეობა, რუსეთთან შედარებით. მსა-და-პირველად უ. სკაჩკოვმა უჩვენა განსხვავება, რომელიც იმყოფება რუსეთისა და ჩინეთის ჰავაში. იმან ჩინეთის ჰავას რუსეთის ჰავა ამჯოაზინა.

შემდგომ სიტყვა, რომ ჩინეთში თითქმის ტყე და საძოვარი ალაგები აღარ არის; ამასთან ხალხი მეტად გამრავლებულია და რიცხვით რუსეთის ხალხზედ ხუთჯერ მეტია. (ჩინეთის ხალხის ამ გვარი სიმრავლეა მიზეზი, რომ იქ აღარც ტყეა და არც საძოვარი ალაგები; ამიტომაც იქ სულ სხვანაირი სოფლის მეურნეობა არის, მინამ მერაპის სახელმწიფოებში. ჩინეთში საქონელი თითქმის სულ არა ჰყავთო, მაგრამ მერაპის ქვეყნებში კი უზიზისოთ არც ერთს სოფლის ოჯახს არ შეუძლიან ცხოვრება. როგორა სძლებს ჩინეთის სოფლის ხალხი უსაქონლოთ, რომლის ნებს ვითაც სხვა ქვეყნებში ასუქებენ მიწას, ამას უ. სკაჩკოვი წარმოსთქვამს შემდეგს ლექციებში. საშინელი მრავალი მცხოვრებლების რიცხვი არის მიზეზი, რომ შინაური ვაჭრობა ისე გადიდა და გაძლიერდა, რომ, სკაჩკოვის სიტყვით, უმეტესია მთელის მერაპის შინაურს ვაჭრობაზე და ჩრდილოეთის ამერიკისაზედ. მრავალი ბაზრები და ალაგები, სადაც ადგილათ ისყიდება ყველა მიწის მოსავალი, არის მიზეზი, რომ ჩინეთის ხალხს ყოველთვის შეუძლიან ადრევე გამოიანგარიშონ, რა და რანაირი ნაწარმოები საჭიროა და ან როგორ გაჰყიდოს თავის მოსავალს. აქედან წარმოსდგება ის ფაქტი, რომ ჩინეთის ხალხს არ მიადგება ის მოვალეობა, რომ სულ ყოველთვის სთესოს და მოიყვანოს ერთნაირი მოსავალი, რაც ადრე უთესია და მოუყვანია. პრა, იქაური ხალხი სცვლის თესვას და მოჰყავს ის მოსავალი, რომელსაც, იმის ანგარიშით, შეუძლიან მისცეს უმეტესი მოგება და სარგებლობა. ამისთვისაც იმათი მინდვრები, კარგი ტენიკური მუშაობის საშუალობით, არას დროს არ კარგავენ ძალას და ყოველთვის მოჰყავთ რიგიანი მოსავალი.

უ. სკაჩკოვმა შენიშნა: ჩინეთი რომ სხვა ქვეყნებსავე ჰურსა ყიდულობდეს, მაშინ იქ მცხოვრებლები ისე გამრავლებულნი არ იქმნებოდნენ, როგორც ახლა არიანო. ამას გარდა იმან დაუმატა, რომ ჩინეთზე ტყუილი მოგონილია, ვითომც იქ ყმაწვილებს სწყევტებდნენ. მყაწვილების მიგდება ხალხის სიმრავლის გამო იქაც ხშირად არის, რასაკვირველია, მაგრამ იმათა ზრდიან საგლახაკოში. მიგდებულის ყმაწვილების ასაკრფათ არიან დანიშნულნი მოხელეები, რომელნიც ყოველს დილას, დანიშნულს საათს, დადიან ქალაქში და აგროვებენ ყმაწვილებს. ამ დროს თვითონ დედ-მამები კარებში გამოსდგენ ყმაწვილებსა. სკაჩკოვის სიტყვით საგლახაკოში ცუდათ ინახვენ ყმაწვილებს, და ამიტომაც მრავალი იმათგანი იხოცება.

სახელმწიფო მმართველობა ძალიან ყურადღებას აძლევს და დაიცავს სასოფლო მეურნეობას. ჩინეთის ხალხის პატივისცემა ამ გვარ სახალხო მომჭირნეობაზედ ყოველგან განთქმულია. მიწის გამკეთებლების წოდება ძალიანთ, ყველა წოდებაზედ უპირველესი წოდება არის. მითონ ბოგდინანი (\*\*) წელიწადში ერთხელ გაავლებს ხოლმე გუთნის კვალს ტაძარში, რომელიც არის შეწირული წმინდისთვის — პირველის მიწის-მკეთებლისთვის ბოგდინანის უპირველესი ცოლი აჩვენებს მაგალითს და თვითონვე აკეთებს აბრეშუმსა. შველა მხარის უფროსი, რომელსაც კი ჰსურს

(\*) ჩინეთში ცხოვრობენ 360,000,000 სულნი, მამრობითი და დედრობითი სქესისანი.  
(\*\*) ჩინეთის ხელმწიფესა ჰქვია.





რომ გამოჩენილი შეიქნეს და თავის შემდეგ  
დასტოვოს კარგი სახელი ცდილობს გაერ-  
ცელოს თავის მზრუნველს ახალი დი სასარგებ-  
ლო მცენარე, და შემოიტანოს ახალი რიგი  
და წესი სოფლის მეურნობისა. რაკი ჩინეთის  
მმართველობა ნახავს, რომ ერთს მზრუნველს  
და ეს მცენარე არის სასარგებლო და გამო-  
სადგენი ხალხისთვის, ის მაშინვე აძლევს ბრ-  
ძანებას, რომ რამდენიმე წელიწადის შემდეგ იმ  
მზრუნველს უნდა გამოგზავნოს ხელმწიფის სასა-  
ხლოში ამ მცენარის მოსაყვანი. ამისთვის არიან  
დანიშნულნი სახელმწიფო მოხელენი, რომ-  
ლებიც უყურებენ, რომ ყველამ მტკიცედ  
დასტოვოს ეს ბრძანება. ამ ახლის მცენარე-  
ის რიგთანაა მოსაყვანი მმართველობა და-  
ბრძანებს სახალხო დაწესებულებების დარიგებას,  
რომლებსაც შეადგენენ ჩინოვნიკები და ისე-  
მდებარე ძალიან იაფად. ამ გვარი ხელმძღვანე-  
ლები ისე ბევრია ჩინეთში, რომ იმათგან  
შეიძლება შესდგეს ძლიერ დიდი ბიბლი-  
ოთეკა. ამ გვარი თხზულებანი სასო-  
ფლო მეურნეობაზე არ არის გავრცელებ-  
ული მერაბაში და აქ არც იციან სრულე-  
ბით იმისთანა დარიგების შედგენა. ამის მიზე-  
ზი უფრო ის არის, რომ ევროპელებმა არ  
იციან სრულეობით ის ტექნიკური სხვა და სხვა  
სახელები ამ საგანზე, რომელნიც ასე ძალიან  
არაა გავრცელებული ჩინეთის ხალხში. შე-  
საჩუკავი აღიარებს, რომ სინოლოგებისთვის  
(\*) უფრო ადვილია ფილოსოფიური თხზუ-  
ლებების თარგმნა, რადგანაც ამათ შეუძლიათ  
გაგებდნენ ძნელი ალაგებისა და თვითონ ნამ-  
დვილის გადასხვევებაცაო. ამიტომაც, ამ-  
ბოძებს სეჩუკავი, სინოლოგები წერილობანი-  
დან დაწყებული ფილოსოფიურს თვითონამდე  
ყველას სწავრონ ჩინეთში, იქაურის სა-  
სოფლო მეურნეობის გარდა.

**მორიგის ლაშქრობის განაჩენი მორა-  
ბრებზე მუხისაგან. 1)**

ქ: ღვთის მორიგის ლაშქრობის განა-  
ჩენი დაწერა ჩვენ მეორე ერეკლე მეფისაგან  
თანდასწრებითა ძისა ჩვენისა უფლის წულის  
გიაზრისათა და ყოველად სამღვდელთა სა-  
ქართველოს ეპისკოპოსთა და ბრწყინვალეთა  
თავადთა და ეგრეთვე ყოველთა კარისა ჩე-  
ვისა მოკვლელთაგან და შემდგომთა დარბაზის  
ერთა და ყოველთა სამეცხედროთა დასთან-  
და ეგრეთვე ყოველთა ჩინებულთაგან, რად-  
გან საქართველოს ქვეყანა ღვთისაგან ამდენს  
ხანს ამისთანას მოუსვენებლობის მტრობით  
შეიწირა და მოუთმენელს ჰქონს მიცა. ჩვენც  
მზაყალბის ბევრი რიგის გარჯილობით ვე-  
ცადებით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამა-  
ლი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისა-  
თვის გვერგო რამე და ამ ხანად ღვთის ყვე-  
ლასაგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამო-  
გარიგეთ და საერთოდ ყველამ ეამჯობინეთ,  
რომელიც ამის ქვემოდა 2) დაგვიწერია:

ა) ქ: პირველი ეს არის, რომ თუ დიდი  
მტერი ორი და სამი ათასი კაცი და კიდევ  
მტერი არ შეიყაროს და ამისთანას ძალით ჩვენს  
ქვეყანაში შემოსვლა არ მოინდომოს, ათასის  
კაცისათვის და მეტ ნაკლებისათვის და კიდევ  
ათასი და მეტნაკლებისათვის ეს გაგვირიგე-  
ბია, რომ რაც თავადნი ან მოკვლენ, ან არ  
მოკვლენ, ან აზნაური მოკვლენ ან არ მოკვლენ,  
გლეხნი მოკვლენი, თუ მსახურნი, თუ მო-  
კვლენი, თუ ხიზანნი, რამდენიც რომ იყე-

(\*) პირი, რომელიც სწავლობს ჩინეთის ენას  
და ლიტერატურას.  
1) მართლწერა სწორედ დედანისა არის ასე, რომ  
მდებარეობს ერთი ასოც არ არის შეშლილი და გამო-  
ყვანილი.  
2) მეორე ეგზემპლარში ასეა: „ქვემო“ საცა ეს  
მტერს იხმარება ყველგან უ და არის.

ნენ ერთს სახლსა და ოჯახში თვითონ თვის  
მორიგებაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია და  
სხვას დაეთარაზა გაგვიჩვენია; სარდლებსა, მი-  
ბაშებსა და უზბაშებს გარდა ყოველი კაცი  
თორმეტს 1) თვეზედ გაგვიყვია და როგო-  
რადაც გაგვიყვია ერთი დიდი საერთო დაე-  
თარი 2) ჩვენის მოკვლევებისათვის მიგვიბა-  
რებია და თითო დაეთარი უზბაშებისათვის  
მიგვიცია და სხვა სოფელ და სოფელ მეზა-  
ტრეებისათვის და მოკვლევებისათვის მიგვი-  
ცია და ასე გაგვიჩვენია ყველასთან, როგორც  
ამაში დაგვიწერია.

ბ) ქ: რომელიც აქამდის ჩვენგან კოდის  
პურის მაგიერი სურსათი და ღვინო ჯარისა-  
თვის ეთხოვებოდათ გლეხს კაცს, ის აგვიღია  
და აღარა ევსთხოვთ, რომ თავიანთს მორი-  
გობის ლაშქრობაში 3) თვითონ მოიხმარონ  
და მეტი და ნაკლები ამ ლაშქრობებში თე-  
თონ შეასრულონ, ჩვენ ამისი მთხოველი აღა-  
რა ვართ და ჩვენს სახლსა ემას კოდის პურს  
და კულუხს გარდა ჯარისათვის სურსათს რომ  
ევსთხოვდით, იმ სურსათს აღარ გამოვართმევთ.

გ) ქ: როგორც თვე და თვე დაგვიწერია  
კაცნი, რომ თვეცა და კაციცა სახელდობ  
მსწერია იმ თვის პირველის დღის წინა დღეს

4) მოვიდეს, სადაც ჩვენგან დაბარებული  
იქნება სწორედ თავადი, აზნაური, თუ გლე-  
ხი, თვარემ 5) თუ არ მოვიდა თავისი ერ-  
თის თვის სურსათის თადარიგით, რომელიც  
ამას ქვემოდა გარდახდევინება დაგვიწერია,  
სწორედ ის დაემართება.

დ) ქ: ღვთის როდესაც ეს ჯარი იმ ედა-  
ზედ აქ ქაოქში შემოგვეყვება, რასაც სურ-  
სათს ჩამოიტანენ, ვინ იცის რომ ჩვენ ქარ-  
თლსა და კახეთში, თუ ყაზახ ბოხალოში 6),  
ან არაგვზედ მიშველდება და მდევრობა მოგ-  
ვინდა, თუ თავისი სურსათისათვის იმ კაცს  
თეთრი წამოუღია ხომ ის თავისი 7) სურ-  
სათს (?) როგორც უნდა ისე თადარიგსა იქს  
და რომელსაც პური, ღვინო, ქერი ექნება,  
თავადის შეიღისა და აზნაურ შეიღის გარდა  
8), გლეხს კაცს ჩვენ უნდა წაღების გზა მიე-  
სცეთ, მაგრამ იმ ერთისთვის სურსათი საეს-  
ნილო და სამარხო, პური, ქერი და ღვინო,  
როგორც შეუძლია, თავდასაცა, აზნაურსაცა  
და გლეხსაცა სრულეობით უნდა ჰქონდეს, თე-  
რემ რადგან ჩვენ სურსათს აღარაფრისას აღა-  
რას გამოვართმევთ, ჩვენ რომ ჯარს სურსათს  
(?) დაუწყეთ ძლევა, დიად ბევრი იქნება და  
ჩვენს სარქარს სურსათის მიცემის ბინა არ ექ-  
ნება, ახლავ ყველამ იცოდეს. იმ ერთის თვის  
სურსათს რომ წამოიღებს, მაშინც თავის სა-  
ხლოშიცა ჰქონდა და სმა მოუნდება და ბარემდაც  
თავისი წმიდის სარწმუნოებისა და რჯულის-  
ათვის და თავისი მტრის შეშინებისათვის  
და ქვეყნის დამშვიდებისათვის და ღვთისა და  
ჩვენის სამსახურისათვის იმ ერთს თვეს აქვე  
დახარჯოს თავის თავზედ.

ე) ქ: ღმერთმან აშოროს თუ ვინმე ავად  
გახდეს და ან სასიკვდილოდ ძნელად ავად  
მყოფი ან მამა ჰყვანდეს, ან დედა, ან ცოლი,  
ან შვილი, ან ძმა, ან და, რომელსაც ძვეში  
წამსვლელი იყოს; ღმერთმან კიდევ აშოროს  
ან მოუკვდესთ რამე (?) იმისი 9) ამბავი იმის-  
მა მეზობლებს და მოკვლემ და იმისი ოფ-  
ლის ჯარის კაცმა უნდა მოგვითხროს და და-  
გვაჯერებინოს: იმას ევრას უსაყვედურებთ,  
მაგრამ თუ ტყუილად მოიგონა ავთამყოფო-  
ბა, რაც გარდახდევინება არის განწესებული

1) მეორე ეგზემპლარში ასეა: „თორმეტ“  
2) დიდათ დაავადებდა რედაქციას თუ ვისმეს სახლი ფე-  
საერთო დედათი არის და რედაქციას გამოუგზავნის.  
3) მეორე ეგზემპლარში ასეა: „რომ თავიანთ ღვ-  
ქრობაში“ და სხვ.  
4) მეორე ეგზემპლარში ასეა: „იმ თვის პირვე-  
ლის წინაღმდეგ“ და სხვა.  
5) მეორე ეგზემპლარში: „თორმეტ“  
6) მეორე ეგზემპლარში ასეა: „ყაზახ ბოხალოში“  
7) მეორე ეგზემპლარში ასეა: „თავის“  
8) იქვე ასეა: „თავადის შეიღის გარდა და აზნაურ  
შეიღის გარდა“ და სხვ.  
9) იქვე ასეა: „ამისი“ და სხვ.

ერთი ორად მიადგება. თუ კიდევ სოფლის  
ჩვეულებრივ მეშვიდრე თუ ხიზანი აიყაროს  
და სხვაგან წავიდეს იმ სოფლიდან უნდა შე-  
გატყობინონ მეზობლებს და მოხელემ და იმ  
სოფლის ჯარის კაცმა, რომ ესა და ეს აური-  
ლი კაცი ამა და ამ სოფელში წავიდაო, რომ  
იქიდან ევსთხოვოთ ის კაცი, თვარემ რომელ-  
საც სოფელზედ მსწერია, იმასვე დაუწყებთ  
თხოვნას და იმათ უნდა გვიპორონ.

ვ) ქ: სადაც სოფელში მივიდნენ ეს ჯარის  
კაცნი, თუ იმ სოფელში წახდინეს რამე: პუ-  
რი, ქერი, ღვინო, ქათამი, ძროხა, ცხვარი, ბა-  
ტი, ღორი, თუ ვენახი და ღობე ჰიგო, თუ  
მოსავალი და რაც 1) ჰქონაწული, ამისთვის თა-  
ვისი სარქარა და მიმბაში დაუზბაში ავადმოე-  
პურას და გარდახდევინოს და თუ ჩვენ ვიქ-  
ნებით იქ, რასაკვირველია, ჩვენ გარდახდევ-  
ინებთ. მაგრამ სოფლის კაცი ზხესა და შე-  
შასა და თივას კი ვერ დაუშლის და თუ გა-  
მოსაყვენებელი ხე რამ ან ხის იარაღი არის  
რისამე არც ის უნდა დააწვევინოს.

ზ) ქ: ღვთის, როდესაც ეს ჯარი შემოგვე-  
ყვება პირველს დღესაც და გასტუმრების  
დღესაც ჩვენ უნახავთ სახსა და ამას გარ-  
და თავისი სარქარა და მიმბაში უნახავდეს  
სახსა ყოველს კვირას იმ მორიგეში მოსულს  
კაცს იმ ერთის თვისა სამყოფი ტყვია-წამალი  
სრულად უნდა ჰქონდეს. რომელიც არ მო-  
იტანს იარაღს გაუჩხრკეთ სახს რომ უნახავთ  
და ავად მოგვეყვრობით. 2).

თ) ქ: რომელიც ამ ჯარს ეჭირება გაგვი-  
რიგებია ყველა რომ იქნება: აქიმი, ჯარა და  
ურდო ბაზარი.

თ) ქ: რომელიც ქართლისა და კახეთის  
აღებ მიცემის კაცნი არიან, ღუქნის პატრონ-  
ნი ქართველი, სომეხი, ფრანგი, თუ ჰურია და  
ან რაც უნდა მიღეთის კაცი იყოს, ამათს ბა-  
დალს ვიყავთლებთ. მწყემსისა, მეზღისა, ხაბა-  
ზისა, მზარეულისა, გუფნის დიდისა, და რო-  
მელიც შემძლებელია მეწისქვილე, ამათს ბა-  
დალსაც ვიყავთლებთ, მაგრამ ამათი ბადალი  
რომ არ მოვიდეს არ იქნება და კიდევ გარ-  
დახდებთ. რომელიც ვაჭარი გზას წავა, რომ  
ქართლისა და კახეთს მამულში არ იქნება,  
იმისთანას კაცს თავის თავისას ამ მორიგის  
ლაშქრობაში ევრას უსაყვედურებთ, ჩვენს  
სამხანებელში კი არ მიგვიცა მურახასი თავი-  
სი მორიგობისათვის.

ი) ქ: რადგანაც მართებული არის, რომ  
ხუთის თავი, გინა ათის თავი უნდა მივართ-  
ვათ ღმერთსა და ჩვენ ყოველმან კაცმან ჩე-  
ვის ქვეყნისა და ჩვენის თავის სასარგებლოდ  
წელიწადში ერთი თვე მივართვათ ღმერთსა  
და ეიმსახუროთ. 3)

ია) ქ: ამ საქმეში თუ პირველმან თავად-  
მან 4) დაშაოს რამე ორმოცდაათი თუმანი  
წავართოს, თუ თეთრი არა ჰქონდეს ჯინსი  
5) გამოვრთვას და ჩვენის ბძანებით სხვას სა-  
სარდლოს ჯარს მიეცეს.

იბ) ქ: ამას გარდა რომელიც და რომელ-  
მანც წინა აღმდგე 6) თავადმან თუ იკად-  
როს რამე, ანუ ლაშქარს აკლდეს, ან კაცი  
დააკლოს, ან სხვა რიგი რამ საქმე დაიჭაროს  
წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა, ამას ოცი თუ-  
მანი წავართვას. რომელსაც თეთრი არა ჰქონ-

1) იქვე ასეა: „ან რაც ჰქონაწული“ და სხ.  
2) მეორე ეგზემპლარში ასეა: „და იმ მოსულთ  
კაცთ მორიგეთ ერთის თვის ტყვია წამალი უნდა ჰქონ-  
დესთ თან და რომელსაც სამყოფი არ ექნება იარაღს გა-  
უჩხრკეთ და ავთ მოგვეყვრობით.“  
3) იქვე ეს მუხლი ესეა: „რადგანაც მართებული  
არის, რომ ხუთის თავი უნდა მივართვათ ღმერთსა, გი-  
ნა ათის თავი, ჩვენ წელიწადში ერთი თვე მივართვათ  
ღმერთსა ყოველმა კაცმა ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის  
თავის სასარგებლოდ ეიმსახუროთ.“  
4) ამ ეგზემპლარში მოთხოვნილი ბრუნვა ხან მთე-  
ლია, ხან მოკვეთილი, მეორეში კი სულ მოკვეთილია  
ესე იგი უ 5 არის.  
5) მეორე ეგზემპლარში ასეა: „ჯინში“.  
6) მეორე ეგზემპლარში სუველგან, საცა ეს სიტ-  
ყვა არის ასე იხმარება: „წინააღმდეგობა“.

დეს მამული გაესყიდოს 1) და ის გამოეწერა  
თმევი ჯარიმა ჩვენის ბძანებით სხვას სასარ-  
დლოს ჯარს გაეყოს. 2)

იგ) ქ: აზნაურ შვილი თუ თავისი რიგზედ  
დააკლდეს, ან ლაშქრობაზედ ერთი რამ დაშა-  
ოს ათი თუმანი ჯარიმა წავართვას, ეგრეთვე  
მისი გამორთმეული ჯარიმაც, ჩვენის ბძანე-  
ბით, სხვას სასარდლოს ჯარებს უნდა გაეყოს. 3)

იღ) ქ: სოფლის მოკვლემ ნაცვალმა, ქვეზამა,  
თუ მამასახლისმა წინააღმდეგი ამ ლაშქრო-  
ბისა თუ დაშაოს რამე ექვსი თუმანი წაერ-  
თვას ჯარიმა და ჩვენის ბძანებით სხვას სასარ-  
დლოს ჯარს მიეცეს. თუ ბეთრი არა ჰქონ-  
დეს, მამული გაესყიდოს.

იე) ქ: თუ თავადი და აზნაური ახალი თვე  
რომ დადგებოდეს იმ თვის პირველს დღის წი-  
ნა დღეს, რომელიც წინას თვის გასული დღე  
იქნება, მზას ჩვენთან არ გამოცხადდება და  
მზას არ გვეჩვენება, რაც ჯარიმა და გარდახ-  
დევინება დაგვიწერია, ის გარდახდება. თუ იმ  
ერთს დღეს 4) დააკლდა ერთი ჯარიმა იქნე-  
ბა, თუ ორს დღეს დააკლდა ორი ჯარიმა იქ-  
ნება და რამდენსაც დღეს დააკლდა იმდენი  
ჯარიმა გამოვრთმევა და თუ გაიპარა და ან  
კაცი გაიპარა ან ამ ლაშქრობის წინააღმდეგი  
რამ ქმნა, 5) ამას სამად და ოთხად გარდა-  
ხდეს თავადის შეიღის, აზნაურ შეიღის და მოკე-  
ლეს.

იე) ქ: და თუ გლეხ კაცისა კიდევ ამავე 6)  
რიგად ერთი თვე რომ გავა იმ გასულის თვის  
დღეს, თუ ჩვენთან მზას არ იქნება და თავი-  
სი მორიგობისთვის ერთი დღე გაიყვანა ერ-  
თხელ გავატაროთ რუსულად წყვლაში, 7)  
თუ ორი დღე გაიყვანა ორჯერ გავატაროთ  
და რამდენიც დღე დაიგვიანოს იმდენჯერ გა-  
ვატაროთ 8) და თუ გაგვეპაროს ოთხჯერ  
გავატაროთ წყვლაში; და თუ უარშიობით  
შინადა იმ თვეში, რომელიც იმისი რიგი იქ-  
ნება, არ წამოვიდეს და არც მოკვლეს შევბოროს  
9) არც მეზატონეს და მალეა დაიწყოს  
აქა და იქი ტყეებში და სოფელში, ამისთანა  
კაცი იმავ სოფელმა ან იპოვოს და ან მოგ-  
ვცენ 10) და ან ექვსი თუმანი ჯარიმა წაერ-  
თვას და ის გაქცეული კაცი რომლისაც და-  
სტისაც არ იყოს, ჩვენის ბძანებით ის ჯარიმა  
სხვას დასტებს გაეყოს; 11) და თუ იმ გაქცე-  
ულმა კაცმა სხვას სოფელში ბუნაგობა დაი-  
წყოს და დამალვა და ან კიდევ ერთს კომლს  
კაცთან, ნათესავთან, თუ მოყვარესთან იმა-  
ლებოდეს და ან 12) თუ სოფელი მალევედეს  
იმათ ან ის კაცი გვიპოვონ და მოგვეცენ და ან  
ის ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ და ეგრეთ-  
ვე თუ ერთი კომლი კაცი მალევედეს, იმანაც  
ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიოს და ის ჯარიმა,  
როგორც ზევით 13) დაგვიწერია, იმ რიგად  
იმ ჯარებზედ გაიყოფოდეს, ჩვენის ბძანებით.  
თუ ის გაქცეული კაცი ცოლშვილით იმ სო-  
ფელს გაეპარა, ეს ჯარიმა კიდევ იმ 14) სო-  
ფელს გამოვრთვას. თუ რომელმაც კაცმა იმი-  
სი გაპარა იცოდეს და არ გაამხილა ეს ექვ-  
სი თუმანი იმას გამოვრთვას, თუ არ შეეძ-  
ლოს სახლი, კარი, მამული, 15) დედული გა-  
ესყიდოს და ჯარიმაში მიეცეს. 16) ესეც გან-

1) იქვე ასეა: „გაეყიდოს“.  
2) იქვე ასეა: „ის გამორთმეული ჯარიმა სხვამ სა-  
სარდლომ გაიყოს ჩვენის ბძანებით“.  
3) იქვე ასეა: „სხვას სასარდლოს ჯარებს გაეყოს  
ჩვენის ბძანებით“.  
4) მეორე ეგზემპლარში ასეა: „რამდენსაც დღესაც“  
და სხ.  
5) იქვე ასეა: „ჰქმნა“.  
6) იქვე ასეა: „ამ“ და სხ.  
7) იქვე ასეა სუველგან საცა ეს სიტყვა იხმარე-  
ბა: „წყვლაში“.  
8) იქვე ასეა: „გაგვატაროთ წყვლაში“.  
9) იქვე ასეა: „შეგვბოროს“ და სხ.  
10) იქვე ასეა: „ან იპოვოს მოგვეცეს“.  
11) იქვე ასეა: „და ის კაცი გაქცეული, რომლისაც  
დასტისა არ იყოს, იმ ჯარს გვეყოს ჩვენის ბძანებით“.  
12) იქვე ასეა: „თუ სოფელი“ და სხ.  
13) იქვე ასეა: „ზევით“.  
14) იქვე ასეა: „იმავ“.  
15) იქვე ასეა: „და დედული“.  
16) იქვე ასეა: „იმეცეს ჯარსა განწესებისაგან დ-  
თუ ის გაქცეული კაცი სოფელმა“ და სხ.



წესებისამებრ ჩვენის ბძანებით სხვას სასარდლოს ჯარს გაეყო. და თუ ის გაქცეული კაცი სოფელში თუ ერთმა თავისმა მეზოვლმა ან ნათესავმა და მოყვარემ მოგვეგაროს, მაშინ ამ წინას სამართლების მიხედულობით გავსინჯოთ და იმისი შესაფერი სასჯელი მივაგოთ.

ი) კ: ეს ყველაყამ 1) დიდმან და მცირემ შეიტყვეთ: როგორათა ცხულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე ამისი შეცვლა არ შეგვიძლიან, 2) და არც ამ ლაშქრობისა და განწყობის ცოტას რისამე დასნა და დაკლვება არ შეგვიძლიან: ვერც ჩვენ მოვიდგომით, ვერც ჩვენმა შეილებმა; არც დიდისა ვისგანმე 3) შეუამაღლობით ამისი მცირის რისამე შეცვალვება იქნება, რომელიც ამში დაგვიწერია; და თუ ან სამღ(უ)ღელო კაცი გაეროს, ან დიდებული თავადი, ან აზნაური, ან გლეხი კაცი თუ დედა კაცი ვინც უნდა პატიოსანი ბძანდებოდეს და იმყოფებოდეს კანონსა და ბრალსა ქვეშე 4) იქნების და სიტყვის მიცემა ჰმართებს ღმერთთან სულითა და ხორცილთა.

ი) კ: რომელსაც თავადის შვილს მამულისა და საქონლისა ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსალოში ერთი თვე დაებას ბოროლით და ცარიელის პურისა და წყლისა და ღვინისა მეტს ნურას მიადებინებენ ჭამითა და სმითა ზედამდგომელნი, და თუ იმ ზედა მდგომელთ შეუტყვევით, რომ ამის მეტი, რაც არ დაგვიწერია სასმლისა და საქმლისაგან მიუტანინებიათ რამე იმისს 5) გარდასახდევინებელს ზედამდგომელს გარდავახდევინებთ.

ი) კ: ეგრეთვე აზნაურ-შვილი რომელიც ჯარისმის უილაჯო იყოს ასი ფარეშის გამოჩენილი ჯოხი 6) დაჰკრან და ერთი თვე იმავ დასტურით, რომელიც თავადის შვილებისა დაგვიწერია, იმისთანა ტუსალობა გასწიოს საპყრობილოში, მაგრამ მნახავი ნურც ერთთან ნუ მივა თავიანთის 7) მოსამსახურისა, პურისა და წყლისა და ღვინის მიტანის მეტი. 8) იმ ერთს თვეს პურიც თავისი ჭამოს და ღვინოც თავისი დალიოს და თუ ის ტუსალი ავადახდეს ჩვენის ბძანებით, აქიმმა ნახოს და ფიცით დაგვიტყუოს იმისი ავად ყოფა 9) და გაუშვათ; თუ ტყულად მოიგონოს 10) ათი დღე კიდევ მოემატოს ტუსალობა, მაგრამ ეს დამნაშავენი ქალაქს უნდა დატუსალოდნენ და აქ აღასრულონ თავითი გადასახადი 11) სასჯელი.

კ) კ: ამის პირზედ გარდანაწერი დაფორები სოფელში რომელიც პირველი ღვდელი არის იმას უნდა ებაროს და კარგად შეინახოს; თუ წახდინა და კარგათ არ შეინახოს ხარის წავართმევთ. თუ იმ სოფელში კარგათ წიგნი არაიენ იცოდეს, არც მღვდელმა და არც სხვამ კაცმა, რომელსაც ახლო სოფელში კარგი მწიგნობარი იყოს იქ მიიტანოს, წავითხოზ და შეიტყუნ.

კ) კ: თუ ერთს სოფელში ორისა და სამის კაცის ყმა იყოს, თითო მებატონემ კაცმა ამ დაეთარის პირი ამოწეროს და თავი თავის ყმისა შეინახონ და მუდამ იკითხვედნ და აკოვდესთ 12), რომ ამ განაჩენებს არაიენ გარდაცდეს, თვარემ რაც დაწერილია.

- 1) მეორე ეგზელიარში ცხეა: „და ესე ყოველთა“ და სხ.
- 2) იქვე ასეა: „არ შეგვიძლიან“.
- 3) იქვე ასეა: „ვისმე“.
- 4) იქვე ასეა: „ქუშე იქნების“ (უ ბრჯეუ არ უზის).
- 5) იქვე ასეა: „იმის“.
- 6) იქვე ასეა: „ასი გამოჩენილი ფარეშის ჯოხი“ და სხ.
- 7) იქვე ასეა: „თავიანთ“.
- 8) იქვე ასეა: „პურისა, ღვინისა და წყლის მიტანის მეტი“.
- 9) იქვე ასეა: „ავადყოფნა“.
- 10) იქვე ასეა: „მოიგონა“.
- 11) იქვე ასეა: „გარდასახადი“.
- 12) იქვე ასეა: „ახსოვდეს“.

1) ჩვენ ამას ვერას მოვკლებთ დამნაშავე კაცზედ, ყველამ დაჯერებით იცოდნ. მეგრეთვე სახსოს მოკვლეება და ეკლესიის (2) მოკვლეება გარდასწრონ და შეინახონ. კ) კ: რომელიც კაცი რომელსაც მიმბაშს და რომელსაც უზბაშს აბარია 3) იმის წინააღმდეგი, რომ ქნას 4) უნდა გადახდეს 5) დანაშაულობის მეზავსად: გალახონ, და აბან ბოროლით და 6) ეგრეთვე ხუნდით; თუ ასეთი დანაშაული ჰქონდეს ჩვენი გასაშინჯავი იყოს ჩვენთან მოიყვანონ.

კ) კ: ამ სარიშტისა და საქმისათვის წელს ქართლი და კახეთი რომ აეწერეთ და იმ აწერაში რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცი დაუმაღლეს და არ დაუწერინებია თავისმა ბატონმა 7) ან მოკელემ ამ აღდგომადის (8) არ გამოაჩინა და მასუქან სხვისაგან ვიოვით, ის კაცი იმას წავართმევ; ან სახსოდ დაიდება, ან სხვას კაცს მიეცემა.

კ) კ: რომელიც გლეხი კაცი სახსოში, თუ ეკლესიის 9) ყმაში, თუ სათავადოსა და საზნაურ-შვილოში მემკვიდრე თუ ხიზანი იყოს ასეთი, რომ ერთსეგვი უქონლობით და სიღარიბით ლაშქრობა არ შეეძლოს იმ კაცს იმისმა მებატონემ, რომელისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი მარილი ერთის თვისა 10) და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი თავისი მემკვიდრე და ხიზანი. ჩვენ ბრალი აგვიხდია და შეგვიტყუბინებია იმის მებატონისათვის და სამართლიანის საქმით გაარიგონ ხოლმე 11) თავის ყმიდამ და საკელოდამ.

კ) კ: საცა რომ ღვინო და ვენახი არ იყოს იმისთანა სოფლის მებატონემ და მოკელემ და გლეხმა კაცმა საღურიც 12) უნდა იყოს იმ სოფლიდამ ღვინის ფასათ ჯინსით შეიჯერონ იმ კაცის გული თავთავისმა მებატონემ და მოკელემ.

კ) კ: აქამდის რომ სოფლებს სამასპინლოს შეეაწერდით ხოლმე საჩვენოდ და ან ვინც ჩვენ გვიახლებოდნენ ხოლმე უცხო სტუმრის სამასპინდლოს გარდა, ის სამასპინდლოც ამოგვიკეთია ამ მიზეზით რომ, როდესაც ქართლსა და კახეთს წავიდოდით ხოლმე მეუღლუფე კაცი გამოგყვებოდა და ამ გზით სხვა მრავალი სოფლის კაცი შეწუხდებოდნენ ხოლმე და რადგანაც ეს ლაშქრობა ესე განწყესდა, ეს ხარჯიც მორიგეთ კაცთა თვითონვე მოიხმარონ.

კ) კ: ვინ იცის ასეთი საქმე გამოჩნდეს, რომ ჩვენ ქვეყანაში ჩვენ წასვლა დაგვიკრდეს ერთს მხარეს მტრის საქმეს გარდა, მაშინ ამ განწყესებულის ჯარის კაცისაგან რა ერთიც გეინდოდეს და ჩვენის ამალისაგან ვინც გეინდოდეს და რამდენიც გეწადოს თან ვიახლოთ და ეგრეთვე ჩვენის კარის მოკლენი, მდივანბენი, სალთხუცენი 13) ქეშკიზაში ბაზირი ხუცესი, 14) მდივნები, ნაზირები, ეგრეთვე ეშკალასაშეები, ყორა ისაულობაში 15), მოლარეთ ხუცები და მუშორბები, ეგრეთვე ხელჯოხიანები და ისაულები, რამდენიც და რომელნიც ვამჯობინოთ ისინი წავიყვანოთ მცირის კაცით 16) იმისთვის რომ კულანდელსავით ჩვენ რომ მრავალნი ვიახლოდნ.

- 1) იქვე ასეა: „რაც დაწერილი არის“.
- 2) იქვე ასეა: „ეკლესიის“.
- 3) მეორე ეგზელიარში ასეა: „თუ იმის“ და სხ.
- 4) იქვე ასეა: „რამ ქნა“.
- 5) იქვე ასეა: „და დანაშაულობის“.
- 6) იქვე ასეა: „ბოროლით და ხუნდით“.
- 7) იქვე ასეა: „მებატონემ“.
- 8) იქვე ასეა: „აღდგომადინ“.
- 9) იქვე ასეა: „ყველგან, საცა ეს სიტყვა გარებულია: მამკლესიის“.
- 10) იქვე ასეა: „თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური და სამყოფი მარილი ერთის თვისა მისცეს“.
- 11) იქვე ასეა: „ხოლმე“ არ არის.
- 12) იქვე ასეა: „საღურიც ის კაცი იყოს“.
- 13) იქვე ასეა: „სალთხუცენი“.
- 14) იქვე ასეა: „ბაზირი ხუცესი“.
- 15) იქვე ასეა: „ყორა ისაულობაში“.
- 16) იქვე ასეა: „მცირე — მცირის კაცით“.

ლოთ არც ჩვენს სარქარს და არც სოფლებს შეეძლებათ 1) იმათი ხარჯი ლაშქრობის მიზეზით. ვისაც უწინ ოცი და კიდევ მეტი კაცი ჰყოლოდეს დასჯერდეს ექვსსა და ვისაც ათი ჰყოლოდეს დასჯერდეს სამსა, ორსა, გინა ერთსა ამათი საქმისა და გაძღებისა, სანამდის ღვითი ჩვენ მოვბრუნდეთ და შინ მოვიდეთ, რითაც იქნება ღვითი ჩვენ რიგი უნდა მივსცეთ, მაგრამ რომელსაც სოფელში მივიდეთ, იმ სოფელში ღვინითა და კანონში შეძლებით სასანილოთ და მარხვაში შეძლებით სამარხოთ და ცხენის ქერისა ასე განგვიწყებია: აპრილიდამ ნახევარ 2) ენკენის თვემდის ქერს ძღვენად ვერ გამოვართმევთ სტუმარს გარდა და ნახევარ 3) ენკენის თვიდამ მოკიდებული გასულს მარტამდის ორის სამის და ერთის ლიტრით ქერი შეძლებით ძღვენად მოვართვან 4), თუ ორი ღამე დავრჩით კიდევ ამავე რიგით ძღვენი მორიგონ და მოვართვან 5) და მორიგის ჯარი, რომელიც გვახლდება, იმან თვით განწყესებისაგან გასძლოს მაშინც ხომ იმან ერთის თვისა თან ახლდება, არც იქნება, რომ არ ჰქონდეს.

კ) კ: რომელსამე კუთხეს ან ჩვენ და ან რომლისამე ჩვენის შვილებისაგან მტრის მიზეზით მიშველება მოგვიკდეს რა ერთთაც კაცი მიეშველნეთ, მაშინ იმ ახლო მახლო სოფლებმა, როგორათა მართებულთა და შეეძლება იყოს, რომელსაც მაშინ მორიგე კაცი იქნებან, ამათს გარდა ჩვენთვის და სხვის 7) ჩვენის ჯარისათვის სურსათი უნდა მოგვეცნ კომლის კაცით მივალთ თუ ნაკლების კომლის კაცით.

კ) კ: როდესაც მორიგე კაცი მომსვლელი იყოს, ვინ იცის ასეთი ავიდარი იყოს ქარი და თოვლი დაუდგეს და ან წყლების სიდიდის დრო იყოს, რომ წყალმა დაიჭიროს იმას ვერას უსაყვედურებთ, რომ ვადაზედ ვერ მოვიდეს, მაგრამ სადაც გაუადრდეს, იქვე ახლო სოფელში უნდა მოიკადოს და იმ სოფლის კაცი მოწმად უნდა იყოლიოს რასაც დღეს მოსულიყოს იმ სოფელში იქიდან შინ ნულარ გაბრუნდება. როდესაც გზა ვერ დაუჭიროს 8) ვერც ჰერამა და ვერც წყალმა, მაშინვე ჩვენთან წამოვიდეს. თუ იმ სოფელს ლეკი მოუხდეს და მდევრობაში დაესწროს თავის სოფლის მოწმობით იმასაც ჩაუგდებთ.

ლ) კ: რადგანაც ეს განაჩენი ასე მტკიცედ დაგვიწერია და საქართველოში ჩვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა დაგვიტყუებია, რომ ამ საქმეზედ დამნაშავეთ უნდა გარდახდესთ, ესეც დიდის გაფთხილებისთვის გაგვიჩენია, რომ დაუნაშავებელი კაცი არ წახდეს: თუ ზემო ქართლში ვიყოფებოდეთ და ან არაგვზედ, ან ფაშაკში, ან ყაზახში და კახეთის მორიგე თავის ვადაზედ ქალაქში ჩამოვიდეს თავისის რიგის აღსრულებისათვის და რადგან ჩვენ ქალაქს არ დავხედებით, რომელსაც მხარეს ვიქნებით, იმ ქალაქიდან მაშინვე წამოვიდეს ის მორიგე კაცი და რამდენსაც დღის სავალია ჩვენამდე იმას ჩვენ ჩაუგდებთ და არას უსაყვედურებთ.

ლ) კ: ეგრეთვე ქართველთაც ასე უნდაგარიშებთ კახეთსა ვართ ყაზახსაჩალოში, თუ ფაშაკში ეგების ჩვენ უფრო მარჯვეს გზაზედ დაუბაროთ, მორიგე იმ გზაზედ წამოვიდეს ყველგანიდან ქალაქს ნულარ მოვა 9).

- 1) იქვე ასეა: „შეუძლიათ“.
- 2) იქვე ასეა: „ნახევარის ენკენის თვემდის“ და სხ.
- 3) იქვე ასეა: „ნახევარის ენკენის თვიდამ“ და სხ.
- 4) იქვე ასეა: „და ერთის ლიტრით ქერი ძღვენი მოვართვან შეძლებით“ და სხ.
- 5) იქვე ასეა: „მორიგონ და მორიგის ჯარი“ და სხ.
- 6) იქვე ასეა: „მშათს“ და სხ.
- 7) იქვე ასეა: „სხვას“ და სხ.
- 8) „როდესაც რომ გზა ვერა დაუჭიროს“ და სხ. ევორე ეგზელიარში ცხეა.
- 9) იქვე ასეა: „ქალაქს ნულარ მოვა: რასაც გზაზედ დაუბაროთ მორიგე იმ გზაზედ წამოვიდეს ყველგანიდან“.

ლ) კ: თუ ერთს სოფელში ერთის ღვდელის მეტი არ იყოს იმისი წამოხდენი არ ენება: ბადალი დაიჭიროს და ის გამოგზავნოს თუ ორნი იყვნენ 1) თავთავეთს რიგზედ წამოვიდნენ 2).

ლ) კ: გუთნის დედისა რომ დაგვიწერია რომ ბადალი უნდა წამოვიდეს, როდესაც ხენის დრო არ არის, მაშინ თვითონ უნდა წამოვიდეს, ბადალს არა ევჯერათ.

ლ) კ: არიან ყოვლად სამღვდელმონებისკაპოზნი, არქიმანდრიტნი, წინამძღვარნი და მათის ყმის მოკლენი და თავადნი და ეგრეთვე სახსოს სოფლების მოკლენი და მოურავნი, რომელნიც ამათგანი შემძლებელნი არიან თავ თავთავის ყმისა და სახელის გამოყვანას ზოგისას და ზოგისას კი ვერა, მაგრამ ამ ლაშქრობაზედ ის დამნაშავე კაცი ხელში რომ ვერ ჩაიგდონ, იმისის სახლს კაცისას დი მამულისას და დედულისას და საქონლისას შემძლებელნი არიან, რომ ხელში მოგვეცნ და არც იქნება, რომ ორში ერთს არ მოგვეცნ, რომლისაც რომ შემძლებელნი არიან მოცემისა და არც რომელიც იმის სოფელზედ და ან იმ ერთის დამნაშაოს კაცის დამალველს კაცს 4) დაეაქვებთ რასმე გარდახდევინებას, რომელიც ზევით დაგვიწერია, თუ ის კაცი ხელში ვერ ჩაგვივარდეს.

ლ) კ: და რომელთაც ყოვლად სამღვდელმონებთა, ან არქიმანდრიტთა წინამძღვართა და მათთა მოკლენთ და კლდეთა და აზნაურთა და ეგრეთვე ამათ მოკლეთ და კლდე ჩვენის სახსოს ყმათ მოკლეთ ყველას ყველას ვიცნობთ შემძლებელთა. მ საქმეში და ეგრეთვე შეუძლებელთა რომელსაც იმ უარშიოს და დამალულის კაცის მოყვანა ძალით არ შეუძლიან, იმას არას უსაყვედურებთ და იმ დამნაშაოს კაცს სოფელს როგორც ზევით დაგვიწერია ის გარდავახდევინებთ და ეგრეთვე კლდე იმ დამალველს კაცს, თუ ის კაცი არ მოგვეცნ ვადაზდის.

ლ) კ: და რომელსაც მებატონეს სამღვდელთა თუ სურს და მოხელეთ და ეგრეთვე სოფელს თუ ერთს კაცს შეუძლიან დამნაშაოს კაცის მოყვანა და არ მოიყვანან ზემო წერილის განჩინებისამებრ გარდახდნა იცოდნენ.

ლ) კ: ვინ იცის სამისა და ოთხის ავად ყოფა გამოიაროს ერთმა კაცმა და ღვდელს მორჩეს და წამოსვლით შეეძლოს მორჩილის შემდგომად კარგი მეზავრი იზოროს წამოვიდეს თავისთვის რიგში, თვარემ რა გადასახდევინებელი დაგვიწერია, ნახევარსათოოდ გარდახდებდა და გარდახდებდა იცოდნენ. აღიწერა განჩინებასე თვესა იანვარსა, სიტყვისა ღვთისა განხორციელებიდან წელსა ჩლოდ ქართულსა ქორონიკონსა უმბ (აქ მეტედი ზის) 5).

2) იქვე ასეა: „თუ ორი იყოს“ და სხ.  
3) იქვე ასეა: „წამოვიდნენ“.  
4) იქვე ასეა: „დამნაშავეს“.  
5) იქვე ასეა: „კაცზედ“.  
6) იქვე ასეა: „ორისა და სამის“ და სხ.  
7) იქვე ასეა: „განკორციელებიდან სიტყვისა ღვთისა“.

(\*) მს განაჩენი ბოროტის (სამოო კორუფციის სოფლი) დავთარიდამ არის ბადაწერილი; დედანად ეს დავთარი მქონდა; მეორე დავთარი ბაბოტისა (ბოროტ კორუფციის სოფელი) არის, ამასთან ბოროტის დავთარი გაუადრდელ და რაშიც ცვლილება ენახე, სხოლოთ გამოვიტანე. მორიგე დავთარი ძალიან გძელს ერთმანეთზედ მიწებებულს ქაღალდზედ არის დაწერილი პირველზედ მსურია: იმანეს მსეს ძისა მიერ პირველი; მეორეზედ: ბაბოტილ მოძღურობის ძისა მიერ; მესამეზედ: ბაბოტილ მოძღურობის ძისა მიერ; იმანეს ბოლოში და ყოველ იმ ადგილას, საცა დავთარის ნაჭერები ერთმანეთზედ მიწებებულია, იმ ბაზზედ.

**ამრძოლობითი განახლება.**  
ტუკიაში, უ. პერესელიძის სახლთან, ისკიდება 240 კვადრ. საყენი ალაფი და ორი ოთახი. შპისი შეტყობა შეიძლება მთა წმინდას, პავლოვსკის სახლში, უ. სულთანოვიჩისაგან.